



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030128587172121

№ 01-45/თ

08 / თებერვალი / 2021 წ.

„იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იშვიათი დაავადებების ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის მოცულობის განსაზღვრის შესახებ

„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამების N16 დანართის („იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა“) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე - 2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე - 3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განისაზღვროს, „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იშვიათი დაავადებების ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის მოცულობა თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად



ეკატერინე ტიკარაძე